



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

მექანიკის ინჟინერიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

დასკვნის წარმოდგენის თარიღი

11.01.2023

თბილისი

## შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.....	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა.....	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.....	7
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	7
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა..	13
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.....	17
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა .....	19
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....	26

**ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ<sup>1</sup>**

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	211325653

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

<b>თავმჯდომარე</b> (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მანანა მოისწრაფიშვილი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
<b>წევრი</b> (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვალერი ჯაჯანიძე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო

<sup>1</sup> ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

**I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	მექანიკის ინჟინერია
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Mechanical Engineering
უმაღლესი განათლების საფეხური	III
მისანიჭებელი კვალიფიკაცია <sup>2</sup>	მექანიკის ინჟინერიის დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მექანიკა და ლითონის საქმე 0715
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება <sup>3</sup>	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	40
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 26 ნოემბრის N.161 გადაწყვეტილება
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-

<sup>2</sup> უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

<sup>3</sup> მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

### ▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ<sup>4</sup>

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მექანიკის ინჟინერიის სადოქტორო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტებთან/სკოლებთან თანამშრომლობით. სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისგან. პროგრამაზე სწავლების ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი შეადგენს 40 კრედიტს. სასწავლო კომპონენტი გარდა სასწავლო კურსებისა, მოიცავს 3 სემინარს. კვლევითი კომპონენტი მოიცავს კვლევას, კვლევის შედეგების გამოქვეყნებასა და საჯარო დაცვას.

განსახილველი სადოქტორო პროგრამის მიზანია:

- მექანიკის ინჟინერიაში სამეცნიერო კვლევების უზრუნველყოფა;
- კვლევების სინქრონიზაცია საერთაშორისო სამეცნიერო ტენდენციებთან;
- სამეცნიერო მუშაობის აქტუალიზაცია და კვლევის ხარისხის ამაღლება;
- ახალი ცოდნის შექმნისა და დანერგვის ხელშეწყობა.

### ▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის პროცესი წარიმართა დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე ვიზიტის გარეშე.

#### • საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამამესწავლილი იქნა პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტთან შესაბამისობის მიზნით და აღნიშნულ სტანდარტებთან მიმართებით სრულ შესაბამისობაშია.

#### ▪ რეკომენდაციები

რეკომენდაციები არ დაფიქსირებულა.

#### ▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- 1.4. სასურველია ექსპერიმენტის ჩატარება მკაცრად არ იყოს განსაზღვრული ერთი სემესტრის (III სემესტრი) ფარგლებში, ვინაიდან გარკვეული სპეციფიკური კვლევის შემთხვევაში შესაძლოა ექსპერიმენტის საფუძველზე მისაღებმა უტყუარმა შედეგებმა მოითხოვოს ერთი სემესტრზე მეტი დროის განმავლობაში ცდების დაყენება.
- 1.5. ვინაიდან „სადოქტორო პროგრამაში სასწავლო კურსი „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები“ ისწავლება 6 კრედიტის მოცულობით, ჯობს 5 კრედიტიან სილაბუსში „სადისერტაციო კვლევის მომზადება“ მე-11 და მე-12 სალექციო თემებისთვის „მონაცემთა რაოდენობრივი ანალიზის (საფუძვლები) საათები (2 საათი ლექცია და 6 საათი სემინარი) დაეთმოს სადისერტაციო კვლევის მომზადების საკითხების უფრო სიღრმისეულ შესწავლას.

#### ▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)<sup>5</sup>

-

- ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე: აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ შემუშავებული დასკვნის პროექტი გაზიარებული იქნა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის წარმომადგენლებისთვის, რომლებმაც წერილით N 15-08/12-166 (28.12.2023) დააფიქსირეს მადლიერება ექსპერტთა მიერ გაწეული შრომის თაობაზე და არ წარმოუდგენიათ არგუმენტირებული პოზიციით რაიმე განსახვავებული მოსაზრება.

<sup>4</sup> პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

<sup>5</sup> პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მექანიკის ინჟინერიის სადოქტორო პროგრამის წარმოდგენილი სახით ჩამოყალიბება განპირობებული იქნა „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის მიზნით, თუმცა, პროგრამის კვლევის არეალი/კვლევის სფერო არ შეცვლილა, ვინაიდან საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამა ინჟინერიაში მოიცავდა მექანიკის ინჟინერიის მიმართულებას. თუმცა, აღნიშნული ცვლილება რეალურად წარმოადგენს მნიშვნელოვან მიღწევას, ვინაიდან ისეთი რთული და კომპლექსური დარგი, როგორც მექანიკის ინჟინერია, დოქტორანტურის საფეხურზე უპრიანია ისწავლებოდეს ცალკე, დამოუკიდებლად ინჟინერიის სხვა დარგებიდან განცალკევებით, რითიც მიღწეული იქნება უფრო მაღალი ხარისხის კვლევების განხორციელება.

### III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

#### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

#### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფმა აკრედიტაციის ფარგლებში შეაფასა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის (საუ) სადოქტორო პროგრამა "ინჟინერიაში", რომლის ფარგლებში კურსდამთავრებულებს ენიჭებოდათ ინჟინერიის დოქტორის კვალიფიკაცია და მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, პროგრამა სთავაზობდა "აგროინჟინერიაში", "ავტომატიზაციასა და მართვის სისტემებში", "სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობაში" და "მექანიკის ინჟინერიაში და ტექნოლოგიაში" კვლევების შესრულებას. პროგრამის მიზნები ნათლად იყო ჩამოყალიბებული და მიმართული იყო ადგილობრივი და საერთაშორისო შრომითი ბაზრებისათვის კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებისკენ ზემოაღნიშნულ დარგებში, რომლებიც შექმნიდნენ ახალ ცოდნასა და ხელს შეუწყობენ მის დანერგვას.

აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ დადგენილი იქნა, რომ სადოქტორო პროგრამის მიზანი იძლეოდა მკაფიო ინფორმაციას მის შინაარსზე და ეს ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომი იყო, თუმცა, ინფორმაცია საუ-ს მიერ შეთავაზებული სპეციფიური სამეცნიერო თემების შესახებ არ იყო დეტალური და დაწესებულებას მიეცა რჩევა, რომ პროგრამის აღწერილობა, რომელიც იყო ძალიან ფართო, გახდებოდა უფრო მკაფიო, თუ საჯაროდ ხელმისაწვდომს გახდიდა დეტალებს კვლევით თემებსა და ექსპერტულ ცოდნაზე.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სადოქტორო პროგრამის მოდიფიცირება, შეეცვალა დასახელება და პროგრამას ეწოდა „მექანიკის ინჟინერიის სადოქტორო პროგრამა“, შესაბამისად შეიცვალა მისანიჭებელი კვალიფიკაციაც და ჩამოყალიბდა როგორც „მექანიკის ინჟინერიის დოქტორი“ და მისი შესაბამისი მიზნები:

- მექანიკის ინჟინერიაში სამეცნიერო კვლევების უზრუნველყოფა;
- კვლევების სინქრონიზაცია საერთაშორისო სამეცნიერო ტენდენციებთან;
- სამეცნიერო მუშაობის აქტუალიზაცია და კვლევის ხარისხის ამაღლება;
- ახალი ცოდნის შექმნისა და დანერგვის ხელშეწყობა.

აღნიშნული მოდიფიცირებით პროგრამის მიზნები გახდა უფრო მკაფიო, ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს, ასახავს კურსდამთავრებულის ცოდნის, კომპეტენციის და მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანის შესახებ ინფორმაციას. წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ სადოქტორო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები მიღწევადია.

აღნიშნულ კომპონენტთან მიმართებაში კი აკრედიტაციის საბჭოს მიერ რეკომენდაცია არ გაცემულა.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში თანდართული დანართებით.

**რეკომენდაციები:**

- -

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- -

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**1.2 პროგრამის სწავლის შედეგები**

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დადგენილი იყო, რომ რომ სწავლის შედეგები შეესაბამებოდა პროგრამის მიზნებს, მეტწილად აღწერდნენ იმ ცოდნას, უნარებსა და/ან პასუხისმგებლობას და ავტონომიას, რომელსაც სტუდენტები შეიძენდნენ პროგრამის დასასრულისათვის, იყო გაზომვადი, მიღწევადი, რეალისტური და შეესაბამებოდა სადოქტორო დონეს. თუმცა, პროგრამის სწავლის შედეგები გაყოფილი იყო სამეცნიერო მიმართულების მიხედვით, სადაც საკმაოდ მსგავსი მოსალოდნელი შედეგები წარმოდგენილი იყო განსხვავებული ფორმულირებებით, რაც იწვევდა გარკვეულ დაბნეულობას. ამიტომ უსდ-ს მიეცა რჩევა, რომ მომხდარიყო ოთხივე სამეცნიერო მიმართულებისათვის პროგრამის დონეზე სწავლის შედეგების უნიფიცირება.

აღნიშნული რჩევა აღარ არის აქტუალური, ვინაიდან თვითშეფასების ანგარიშით წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამიდან დატოვებულია მხოლოდ ერთი მიმართულება „მექანიკის ინჟინერია“.

აღნიშნულ კომპონენტთან მიმართებაში კი აკრედიტაციის საბჭოს მიერ რეკომენდაცია არ გაცემულა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში თანდართული დანართებით.

**რეკომენდაციები:**

- -

## რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

○ -

## შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

### 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სტრატეგიული მიმოხილვისა და გეგმის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ უნივერსიტეტში განსაზღვრულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პერმანენტული მონიტორინგის, გამოკითხვების, მონაცემთა განსაზღვრის, შეგროვებისა და მათი ანალიზის საფუძველზე ხორციელდება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი. პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენება ორი ძირითადი მიდგომა: პირდაპირი და არაპირდაპირი გაზომვის მეთოდები. არაპირდაპირი გაზომვის მეთოდით გულისხმობენ უკუკავშირის სხვადასხვა საშუალების გამოყენებას: სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვას და ამ შედეგების ანალიზის გზით პროგრამაში დასახული სწავლის შედეგების გაზომვის და საჭიროების შემთხვევაში, გაუმჯობესებას. კონკრეტული სასწავლო კურსის ფარგლებში კი ხდება სტუდენტის მიღწევების საფუძველზე სწავლის შედეგების მიღწევის პირდაპირი გაზომვა. ყოველივე აღნიშნული ხორციელდება პროგრამის გაუმჯობესების დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში თანდართული დანართებით.

### რეკომენდაციები:

○ -

## რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

○ -

## შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი**

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამა სტრუქტურირებულია საქართველოს კანონმდებლობისა და კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS) შესაბამისად. პროგრამის სასწავლო კომპონენტი შედგება 40 კრედიტისაგან და კვლევის დასრულება განსაზღვრულია პროგრამის ფარგლებში 3 წლის განმავლობაში.

პროგრამის სასწავლო კურსები მოიცავს ისეთი შინაარსის კურსებს, რომელიც ლოგიკურად უკავშირდება ერთმანეთს და უზრუნველყოფს მკვლევარისთვის იმ საჭირო ცოდნისა და უნარების გამოიმუშავებას, რაც საჭიროა პროგრამით გათვალისწინებით სწავლის შედეგების მისაღწევად.

სპეციალიზებული ცოდნის შექმნა გათვალისწინებულია 3 სადოქტორო სემინარის ფარგლებში, რომელსაც ჯამურად ეთმობა 15 კრედიტი.

პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსი და სწავლის შედეგები მიმართულია სადოქტორო პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მიღწევისკენ და ისინი შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან და შინაარსთან.

სწავლების სამივე წელს განსაზღვრულია ლოგიკური თანმიმდევრობით სადოქტორო კვლევითი ნაშრომის მომზადება.

კვლევითი კომპონენტი მოიცავს შემდეგ საკითხებს: კვლევის საგნის შესახებ სრული და თანამედროვე ბიბლიოგრაფიის შექმნა; გამოქვეყნებული ნაშრომების მოძიება; კვლევის დაგეგმვა, ინდივიდუალური გეგმის შედგენა; მასალების შეგროვება და შესაბამისი წყაროების კითხვა; სადისერტაციო პროექტის შედგენა; ექსპერიმენტების ჩატარება, მასალების შეგროვების გაგრძელება; მონაცემთა ანალიზი; შეგროვილი მასალების ორგანიზება, კვლევის შედეგების ჩამოყალიბება, სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურის შემუშავება; სადისერტაციო ნაშრომის ტექსტის წერის გაგრძელება და შედეგების გადამოწმება; სამეცნიერო/სასწავლო ნაშრომის/სტატიის მომზადება და გამოქვეყნება; სადისერტაციო ნაშრომის ტექსტზე მუშაობის დასრულება და საჯარო დაცვა.

თითოეულ ამ კვლევითი კომპონენტის აქტივობას განსაზღვრული აქვს სემესტრი, თუმცა, დაწესებულებას ვურჩევდით, რომ ექსპერიმენტის ჩატარება მკაცრად არ იყოს განსაზღვრული ერთი სემესტრის (III სემესტრი) ფარგლებში, ვინაიდან გარკვეული სპეციფიკური კვლევის შემთხვევაში შესაძლოა ექსპერიმენტის საფუძველზე მისაღებმა უტყუარმა შედეგებმა მოითხოვოს ერთი სემესტრზე მეტი დროის განმავლობაში ცდების დაყენება.

აღნიშნული რჩევა არ ახდენს გავლენას ქვესტანდარტის დადებითად შეფასებაზე და გამომდინარე ზემოთქმულიდან, სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი აკმაყოფილებს ქვესტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- „მექანიკის ინჟინერიის სადოქტორო პროგრამა.

**რეკომენდაციები:**

- -

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია ექსპერიმენტის ჩატარება მკაცრად არ იყოს განსაზღვრული ერთი სემესტრის (III სემესტრი) ფარგლებში, ვინაიდან გარკვეული სპეციფიკური კვლევის შემთხვევაში შესაძლოა ექსპერიმენტის საფუძველზე მისაღებმა უტყუარმა შედეგებმა მოითხოვოს ერთი სემესტრზე მეტი დროის განმავლობაში ცდების დაყენება.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**1.5 სასწავლო კურსი/საგანი**

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სადოქტორო პროგრამის სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს და ამ სასწავლო კურსით განსაზღვრულ მიზნებს. მათში მითითებული კრედიტების რაოდენობა რელევანტურადაა განსაზღვრული თითოეული სასწავლო კურსის შინაარსისა და სწავლის შედეგების მიხედვით; ასევე, განაწილება საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის ადეკვატურია სასწავლო კურსის სპეციფიკის მიხედვით და საკონტაქტო საათების რაოდენობა საკმარისია სასწავლო კურსის ათვისებისთვის.

თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებულია ყველა ის საჭირო ინფორმაცია, რაც სტუდენტს წინასწარ შეუქმნის წარმოდგენას ამ კურსის გავლისთვის. მნიშვნელოვანია, რომ სილაბუსებში ნათლადაა გაწერილი თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასების შესახებ.

სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და დამხმარე სასწავლო მასალები შეესაბამება დასახული სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფას და კვლევების ხარისხიანი წარმართვის საფუძვლის შექმნას.

სასწავლო კურსების შინაარსები, როგორც აღვნიშნეთ სავსებით რელევანტურია სადოქტორო პროგრამასთან მიმართებაში, თუმცა, ექსპერტების მოსაზრებით, რჩევის სახით შეიძლება ითქვას, რომ ვინაიდან „სადოქტორო პროგრამაში სასწავლო კურსი „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები“ ისწავლება 6 კრედიტის მოცულობით, ჯობს 5 კრედიტიან სილაბუსში „სადისერტაციო კვლევის მომზადება“ მე-11 და მე-12 სალექციო თემებისთვის „მონაცემთა რაოდენობრივი ანალიზის (საფუძვლები) საათები (2 საათი ლექცია და 6 საათი სემინარი) დაეთმოს სადისერტაციო კვლევის მომზადების საკითხების უფრო სიღრმისეულ შესწავლას.

აღნიშნული რჩევა არ ახდენს გავლენას ქვესტანდარტის დადებით შეფასებაზე და იგი ფასდება როგორც სრულად შესაბამისი.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „მექანიკის ინჟინერიის სადოქტორო პროგრამა თანდართული სასწავლო კურსების სილაბუსებით.

### რეკომენდაციები:

- -

### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ვინაიდან „სადოქტორო პროგრამაში სასწავლო კურსი „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები“ ისწავლება 6 კრედიტის მოცულობით, ჯობს 5 კრედიტიან სილაბუსში „სადისერტაციო კვლევის მომზადება“ მე-11 და მე-12 სალექციო თემებისთვის „მონაცემთა რაოდენობრივი ანალიზის (საფუძვლები) საათები (2 საათი ლექცია და 6 საათი სემინარი) დაეთმოს სადისერტაციო კვლევის მომზადების საკითხების უფრო სიღრმისეულ შესწავლას.

### შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

## საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ინჟინერიის სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას. კერძოდ, დაიშვება პირი, რომელსაც აქვს მაგისტრის, ან მასთან გათანაბრებული კვალიფიკაცია, რომელიც აკმაყოფილებს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილ მოთხოვნებს, რაც განსაზღვრულია უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლის დებულებით. პროგრამაზე მიღება ხდება საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად. ზემოთქმულიდან გამომდინარე, პროცესი უზრუნველყოფს პროგრამაზე დაიშვას შესაბამისი წინაპირობისა და მზაობის მქონე პიროვნება, რომელიც შეძლებს დააკმაყოფილოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები და შესაბამისად მიენიჭოს კვალიფიკაცია. ამდენად, დაშვების წინაპირობები დაკავშირებულია მისაღწევ შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

პროგრამაზე.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტთა მიღება ხორციელდება კომისიური წესით უსდ-ს მიერ მეთოდოლოგიურად განსაზღვრული საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები სტუდენტთა რაოდენობის ფარგლებში და დაწესებულების რესურსების შესაბამისად.

საერთო ჯამში მექანიკის ინჟინერიის სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „მექანიკის ინჟინერიის სადოქტორო პროგრამა;
- საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ვებგვერდი: <https://agruni.edu.ge>

### რეკომენდაციები:

- -

### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

მექანიკის ინჟინერიის სადოქტორო პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტის მიერ უზრუნველყოფილია დარგის შესაბამისი ინოვაციური კვლევების დაგეგმვა და შესრულება. სტუდენტებს შეუძლიათ კვლევის განხორციელება თანამედროვე ლაბორატორიებში კვალიფიციური პროფესორების ხელმძღვანელობის ქვეშ. სადოქტორო სკოლა თანამშრომლობს სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, რაც იძლევა საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირების შესაძლებლობას. დოქტორანტებს სამეცნიერო კვლევის განხორციელებისას საშუალება აქვთ ისარგებლონ უნივერსიტეტის რესურსებით და დაესწრონ სამეცნიერო ფორუმებს, კონფერენციებსა და სემინარებს. ჩაერთონ უნივერსიტეტის მიერ მოწვეული ექსპერტების მიერ ჩატარებულ სემინარებში.

შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილია სამეცნიერო/კვლევითი უნარების განვითარება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ვებგვერდი: <https://agruni.edu.ge>

**რეკომენდაციები:**

- -

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- -

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

### 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

#### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მექანიკის ინჟინერიის სადოქტორო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში აღწერილია სწავლა/სწავლების ის მეთოდები, რომლებიც შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. პროგრამის განხორციელებისას გამოიყენება სწავლისა და სწავლების შემდეგი მეთოდები: ლექცია, სემინარი, პრაქტიკული მეცადინეობები და სიმულაციები, ვერბალური (ზეპირსიტყვიერი) მეთოდი, დისკუსია/დებატები, დემონსტრირების მეთოდი, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი.

სწავლის შედეგების საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირი შესაძლოა იყენებდეს ერთ ან რამდენიმე მეთოდს კონკრეტული სასწავლო-კვლევითი მიზნების მისაღწევად. აღნიშნული მეთოდებით უზრუნველყოფილი იქნება პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მიღწევა დოქტორანტურის საფეხურის შესაბამისად.

სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტის ფარგლებში სწავლა/სწავლების შერჩეული მეთოდები უზრუნველყოფს დოქტორანტს გამოუმუშავოს ის ფუნდამენტური უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებელია ხარისხიანი კვლევის წარმოებისათვის და გაიდრმავოს ცოდნა მექანიკის ინჟინერიაში სადოქტორო სემინარების ფარგლებში, ხოლო კვლევითი კომპონენტის განხორციელებისას ხდება რეგულარულ რეჟიმში დოქტორანტსა და სამეცნიერო ხელმძღვანელს შორის თანამშრომლობა, ხელმძღვანელის მიერ ნაშრომის სხვადასხვა ნაწილის/ეტაპის მომზადების პროცესში ჩართულობა, დოქტორანტის მიერ შესრულებული კვლევითი კომპონენტის შესახებ ანგარიშის და პრეზენტაციის სემესტრის ბოლოს წარდგენა სამეცნიერო მიმართულების კომისიასთან.

გამომდინარე აღნიშნულიდან, შესაფასებელი სადოქტორო პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენება და ეს სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „მექანიკის ინჟინერიის სადოქტორო პროგრამა;
- საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ვებგვერდი: <https://agruni.edu.ge>

#### რეკომენდაციები:

- -

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- -

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**2.4. სტუდენტების შეფასება**

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

